# შრომა

## სურათებიანი დამატება

დამატების № 27. ხუთშაბათი, 13 ივლისი, 1906 წ. გაზეთის № 79

### საბოს აღსარება

გიუ დე მოპასანის.

საკვირველი ოხუნჯი და მასთან მღვდლების მოძულე იყო დურგალი საბო.

როგორც კი შეჰყოფდა თავს მარტევილის სამიკიტნოში, იქ მყოფთ იმის დანახვაზე სიცილ-ხარხარი წასქდებოდათ ხოლმე. საბოს დასანახავადაც-კი ეჯავრებოდა სულიერი მამები. თითქოს იმათი შთანთქმა სწადიანო. თავხედობამდის აღწევდა იმისი სიძულვილი.

თევდორე საბო, ხელობით დურგალი, მარტენევილში მოწინავე პარტიის წარმომადგენლად ითვლებოდა. პირქუში, კუშტის გამომეტყველებისა, ჭროღა თვალები, საფეთქლებზე ჩამოძენძილი და დაწებებული თმა, თხელი, გაცრეცილი ტუჩები, და მაღალი, ტლანქი, ახმახი ტანი,—ყველა ეს უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებელზე.

როცა კი საბო მარილიანის კილოთი იტყოდა—„ჩვენი წმინდა პაპიო“, იქ მყოფთ ხითხითი წასქდებოდათ ხოლმე. საბოს ჩვეულებად ჰქონდა, უთუოდ კვირა-უქმე დღეს ემუშავნა, სწორედ იმ დროს, როცა ეკლესიაში წირვა იდგა. იცით, როდის დაჰკლავდა ხოლმე ღორს!? უთუოდ ვნების კვირის ორშაბათს, რომ ვნების კვირის განმავლობაში აღდგომა დღემდის ეჭამა მცვრიანი ძეხვი. რა დაინახავდა გზად მიმავალ მღვდელს, მანჭვა გრეხით იტყოდა: „აი, ვინა სვამს სისხლს თავის მეუფე მაცხოვრისასაო“.



განსვენებული **შიო ჩიტაძე** საავადმყოფოში.—გადაღებული ფოტ. ~~უმიკაძისა~~.



**შიო ჩიტაძე**

სტუდენტობის დროს.



**შიო ჩიტაძე**

უკანასკნელი სურათი



განსვენებული შიო ჩიტაძე. სურათზე ნაჩვენებია ჭრილობა

ადგილობრივი მღვდელი, მაღალი და ჩასუქებული, ძლიერ ერიდებოდა საბოს მწვავე ენას, რომელსაც ბევრი მიმბაძავი ჰყავდა. აბბატ მარიტიში, როგორც იტყვიან, პოლიტიკის კაცი იყო და აკი ხშირად მიმართავდა ხოლმე ისეთ საშუალებას, რომ თავი დაეხწია საბოს ულმობელ ენისათვის, თუმცა არც თითონ ჩამოუვარდებოდა სიძულვილში და ხშირად სამაგიეროსაც სძლვნიდა საბოს. დიდიხნიდან იყო მათშორის ბრძოლა, ბრძოლა ფარული, მედგარი.

საბო მუნიციპალიის მრჩეველად ითვლებოდა. ბევრი დარწმუნებულიც იყო, რომ იმას ბერად აირჩევდნენ. ეს ხომ ეკლესიისა და სარწმუნოების დამამცირებელი იქნებოდა!..

არჩევნების დღე ახლოვდება მარტენვილში. აბბატი დაეჩქარა ქალაქ რუანში წასვლას. დილით უთხრა მოახლე ქალს, რუანში მივდივარ ეპისკოპოსთან.

ორის დღის შემდეგ დაბრუნდა რუანიდან, მხიარული და კმაყოფილი. დილითვე მთელ რუანში იცოდნენ, რომ ეკლესიაში



სასადილო ოთახი, სადაც **შიო ჩიტაძე** მოჰკლეს. იატაკი სისხლით მოსვრილია. ს სხლით შეღებილია აგრეთვე კარები.—საკუთარი ფოტოგრაფია.



**შიო ჩიტაძის** კაბინეტი, აკლებული თავდამსხმელთაგან.—საკუთარი ფოტოგრაფია.

ახლად უნდა გადაკეთდეს სამგალობლო, რისთვისაც მათმა [illegible] ეწირა.

[illegible] ვი უნდა აეშალათ და სამა-

გიეროდ—მუხისა დაედგათ. ეს კი თვალსაჩინო სადღეგრძლო საქმე იყო, და ბევრ ოჯახშიაც ლაპარაკობდენ ამის გამო.

გაუკრთა ჩვეულებრივი მხიარული ღიმი საბოს. ალა



საბავშვო ოთახი.—საკუთარი ფოტოგრაფია.

...ხუნჯობდა. თითქოს მდუღარე წყალი გადაავლესო, გულ ჩათუთქული დადიოდა. ქუჩაში მიმავალ საპოს მეზობლები და მტერ-მოყვარენი გამომცდელის თვალით აშტერდებოდნენ და ცბიერად ეკითხებოდნენ:

—საბო, შენ ხომ არ უნდა გააკეთო სამგალობლო ეკლესიაში?

ამ დროს საბო უგერგილოდ ჰგრძნობდა თავს, პასუხი არ ეხერხებოდა და სიბრაზისაგან ბოლმა ახრჩობდა.

მსუქანი ლუკმაა, კარგი სარგებლიანი საქმეა,—დაუმატებდნენ ხოლმე ზოგნი დამცინავის კილოთი. სულ რომ არა იყოს რა, ორასი, შესაძლოა, სამასი ფრანკიც დარჩეს.

ეს სიტყვები გულს უთუთქავდა საბოს.

ორი დღის შემდეგ ხმა გავარდა საქმე სოფ. პერშეველ დურგალს სელერტენ მამბერლანს გადაეცემაო, რაც, შემდეგში, ტყუილი გამოდგა. ამ ამბავს ისიც მოჰყვა, რომ, რაც ეკლესიაში სკამებია, სულ უნდა გადაკეთდესო. ამას დასჭირდება 2000 ფრანკი და ნებართვასაც დღე-დღეზე ელიან სამინისტროდანაო.

ამ ამბებმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ხალხში.

საბოს ძილი გაუკრთა.

„როგორ მოვაგვარო, რომ ხელთ ვიგდო ეს საქმეო“, ფიქრობდა საბო. რაც თავი ახსოვს, ჯერ ასეთი სარგებლიანი საქმე არ გამომტყვრალა სოფელში. ზედ დატანებაზე ახალი რამ გავრცელდა, ზოგან ჩურჩულითაც ლაპარაკობდნენ, ვითომ მღვდელს სწადია მიანდოს მახლობელ სამრევლოში მცხოვრებ დურგალს, საბოს კი ვერ მისცემს, რაკი იცის, რა რწმენის კაციაო.

ეს რომ შეიტყო საბომ, ჯერ არც კი დაბინდებულიყო, გაეშურა აბბატ მარიტიმთან.

აბბატი სახლში არ დაჰხვდა, მოახლესაგან შეიტყო აბბატის ყოფნა ეკლესიაში. ახლა იქით გაეშურა.

ორი ხანგადასული ქალიშვილი მოძღვრის ხელმძღვანებლობით რთავდა საკურთხეველს მომავალ ღვთისმშობლის დღესასწაულისთვის.

მოძღვარი იდგა სამგალობლოს შუა ადგილას, საიდანაც მუცელგაბღენძილი აძლევდა განკარგულებას სკამებზე შემდგარ ქალებს, რომელნიც სამრეკლოს თაიგულებით დახვეულ ყვავილებით რთავდნენ.

საბო ეკლისაში უხერხულად ჰგრძნობდა თავს. თითქოს მრისხანე მტერთან შესულიყოსო. მაგრამ ნივთიერ გამორჩენის სურვილი მოსვენებას არ აძლევდა და გულს უქენჯნიდა. საბომ არ მიაქცია ყურადღება ორ ქალს, რომელნიც საბოს დანახვაზე განცვიფრდენ და თითქოს ქვის ქანდაკებას დაემსგავსენო.

საბო მიუახლოვდა მღვდელს და წაიდუდუნა:

—გამარჯობა, ბატონო კიურე!

—გაგიმარჯოს, ბატონო დურგალო!—უპასუხა მოძღვარმა, რომელიც თავდავიწყებამდის იყო გართული საკურთხეველის მორთვით და არც კი შეჰხედა საბოს.

შემკრთალს და მჭმუნვარე საბოს არ ეხერხებოდა სიტყვა, კრინტს ვერა სძრავდა. გარინდებულმა რამდენისამე წამის შემდეგ ჰკითხა:

—ემზადებით?

—დიახ, მალე დადგება ღვთისმშობლის დღესასწაული.

—ჰოო მართლა!—წაილაპარაკა საბომ და ისევ გაჩუმდა.

ახლა კი ისე ჰგრძნობდა თავს, თითქოს მთავარი მცნება დაებნაო.

მისი განუსაზღვრელი სურვილი იყო, როგორმე გასცლოდა ამ ადგილს და საქმეზე კი სიტყვა არ წასცდენოდა, მაგრამ, რა თვალი შეავლო სამგალობლოს, შეჩერდა, შენიშნა თოთხმეტი მერხული, რომელიც გასაკეთებელი იყო: ექვსი მარჯვნივ, ცხრაც მარცხნივ. გასწრივ ორი ადგილი ეჭირა სალაროში შესავალ კარებს. „თოთხმეტი მერხული მეხისა,—საზრობდა საბო:—სამას ფრანკზე მეტი არ დაჯდება. დათვლილი კი ექვსასადაა. კაი სარგებლიანი საქმე... სულ ადვილად დარჩება ორას ფრანკზე მეტი, თუ რომ დოყლაპია და უგერგილო არ არის კაცი.

საბომ წაიბურტყუნა:

—მე მოველ საქმის ასაღებად.

გაკვირვებულმა მოძღვარმა ჰკითხა:

—რა საქმისა?

საბო დაიბნა, მაგრამ მაინც სთქვა:

—გადასაკეთებლის გამო...

ახლა კი მიუბრუნდა მოძღვარი და ჩააცქერდა თვალებში.

—თქვენ მეკითხებით ჩემის ეკლესიის სამგალობლოს გადაკეთების შესახებ?!

## საქართველოს დეპუტატები სათათბიროში



1) ისებ ბარათაშვილი,—2) გომართელი,—3) ნ. ჟორდანია,—4) ბოლქვაძე (ჩვენი კორესპონდენტი და პრეზიდენტი კორესპონდენტთა ბიუროსი), 5) ჯაფარიძე,—6) წერეთელი,—7) რამიშვილი.

აბბატ მარიტიმის კილომ ისე იმოქმედა თევდორე საბოთაძის ჭიანჭველებმა დაურბინეს ტანშიო. განუსაზღვრელმა სურვილმა შეხუთა მისი არსება. ოღონდ კი როგორმე გასცლოდა აქაურობას...

მაგრამ მაინც მშვიდად და წყნარად წარმოსთქვა:

— დიახ, ბატონო კიურე!

საბოს სიტყვებმა ისე იმოქმედეს აბბატზე, რომ შეკრთა. განცვიფრებულმა უნებლიედ გადიჯვარედინა კოლოტ მუცელზე ხელები და შესძახა:

— ეგ, თქვენა! თქვენ მოსულხართ ჩემთან საქმის სათხოვნელად? ეგ ხომ შეუძლებელია. თქვენ ერთად-ერთი უწმუნო ათეისტი ხართ მთელ ჩემ სამრევლოში?! ეგ ხომ შეურაცხყოფაა, თავ ლაფ დასხმაა... ეპისკოპოსი... მათი მეუფება, ხომ მისაყვედურებს, დამსჯის კიდეც: მცირე ადგილზე გადმიყვანს...

კარგა ხანს იბრუნებდა გულს, ქშინავდა, თითქოს გული ეხუთებაო. შემდეგ უფრო ლმობიერის კილოთი დაუმატა:

— რასაკვირველია, კარგად ვხედავ და ვგრძნობ კიდეც, რომ ასეთი საჭირო საქმე ეძლევა სხვა სამრევლოს დურგალს, მაგრამ არ შემიძლიან სხვაფრივ მოვიქცე... მხოლოდ, თუ რომ... თუ რომ... მაგრამ არა! ეს ხომ არ შეიძლება!.. თქვენ არ დასთანხმდებით. უამისოდ კი არ შეიძლება.

ამ დროს საბო დასცქეროდა სკამების რიგს, რომლებიც ჩამწკრივებულიყვნენ გასავალ კარებამდის. ნუ თუ ყველა ეს გადასაკეთებელია? ჰფიქრობდა იგი.

— რას მომთხოვთ? სთქვით.—ძლივს ძალდატანებულის კილოთი წარმოსთქვა საბომ.

მოძღვარმა თავი მაღლა აიღო, გასწორდა და უთხრა:

— მე მსურს ვაცოდე ნამდვილი და უტყუარი საბუთი თქვენის წრფელ სურვილისა...

— საბო ბურტყუნებდა:

— არა ვარ, უახს... არა ვარ უახს!.. იქნება კიდეც შევთანხმდეთ.

მოძღვარმა განაგრძო:

ამისათვის საჭიროა მახლობელ კვირა დღეს, საზოგადოების თანადასწრებით, წირვის გათავებისას ეზიაროთ.

დურგალი ჰგრძნობდა, რომ ფითრდებოდა, მაინც, პასუხის ნაცვლად, ჰკითხა:

— სკამებიც უნდა გადაკეთდეს?

— უთუოდ, მხოლოდ ცოტა გვიან!—მტკიცედ უპასუხა აბბატმა.

საბომ ანგარიშ მიუცემლად განაგრძო:

— თანახმა ვარ, თანახმა! არა ვარ განდგომილი, კეთილ მორწმუნე ვარ სჯულისა, სარწმუნოებისა. თუმცა მოუცლელობისა გამო შხირად ვსცდები, ახლა კი, ველარ გავკადნიერდები.

გონს მოსულნი, ხანს გადაცილებული ქალიშვილები ამოჰფარებოდნენ საკურთხეველს და მეტის მღელვარებისაგან გაცრეცილნი, ყურს უგდებდნენ.

რაკი მოძღვარმა გამარჯვება იგრძნო გულ-კეთილის, მაგრამ მედიდურის კილოთი სთქვა:

— კეთილიმც იყოს, კეთილიმც! აი, კეთილი და გონივრული, გულახდილი სიტყვა. თქვენც დარწმუნდებით, თქვენც სწვნევთ...

საბო იღიმებოდა და დარცხვენით ჰკითხა:

— შეიძლება, მცირე ხნობით გადასდოთ ზიარება?

მოძღვარი ულმობელი იყო. ხელახლა მიიღო სასტიკი ფერი:

— ვიდრე საქმეს გადმოგვცემდე, წინდაწინ უნდა დავრწმუნდე თქვენს აღთქმაში,—და უფრო მოტკბილებულის კილოთი განაგრძო.—ხვალვე მომავალ აღსარებისთვის ორჯელ მაინც მომიხდება თქვენი გამოცდა.

— ორჯელ?—ჰკითხა გაოცებულმა საბომ.

— ორჯელ!

მოძღვარი იღიმებოდა.

— გესმით, თქვენ უნდა საფუძვლიანად გადაწმიდოთ სინიდისი ცოდვებისაგან. ასე, ხვალ გიცდით...

ძალზე აღელვებულმა დურგალმა ჰკითხა:

ყველა მაგეებს სად აკეთებთ?

საალსარებოში.

— აი, იმ სკივრში, კუთხეში რომ სგას? იცით, სულაც არ მომწონს ის თქვენი სკივრი.

— რატომ?

— იმიტომ... იმიტომ, რომ მაგეებს არ ვარ ჩვეული და ყურთაც მძიმედ მესმის.

ამ ხანად კი მოძღვარი უფრო გალმობიერდა.

— მაშ, კარგი. ჩემსას მოდი, სადარბაზო ოთახში. იქ მარტონი ვიქნებით, თანახმა ხარ?

— მაგას არა უშავს რა, მხოლოდ სკივრში კი არა.

— მაშ, ხვალისთვის, საქმის გათავების შემდეგ, ექვს საათზე.

— საქმე გადაწყვეტილია, ვგონებ, ყველაფერი აწონ-დაწონილია. ნახვამდის, ბატონო კიურე! მაგრამ, იცოდეთ კი, გადათქმა შეუძლებელია... ეშმაკს არა სძინავს...

მან გაუწოდა მღვდელს თავისი ტლანქი, მუშაობით დაკოჟრებული ხელი, რომელიც მღვდელმა ისე ჩამოართვა, რომ მათი ხელების შეხებისაგან ტკაცუნი გაისმა და გუგუნით შთაინთქა საყდრის გუმბათში.

კოლა ასათიანი

(დასასრული იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი გრ. ხ. რცხილაძე.